

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია და სამშვიდობო მისიების როლი

მსოფლიოს უსაფრთხოებაში

ნაშრომი შესრულებულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“

პროექტისთვის

„საქართველოს ახალგაზრდა ქალები ნატოსთვის“

ავტორი: თამთა ფიროსმანაშვილი

*სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და სამომავლო  
პერსპექტივები“*

თბილისი

2020

## სარჩევი

საკითხის აქტუალურობა.....	3
კვლევითი კითხვები:.....	5
კვლევის მეთოდები: .....	5
ჰიპოთეზა:.....	6
ჩრდილოატლანტური ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციების როლი მშვიდობასა და უსაფრთხოებაში: ბოსნა-ჰერცეგოვინა.....	6
მთავარი აქტორების ინტერესების გაშუქება, მათი პოზიციები არსებული კონფლიქტის მიმართ.....	8
ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციები კოსოვოში.....	9
ვის უნდა მიეღო გადაწყვეტილება კოსოვოში სამხედრო მოქმედების შესახებ? .....	10
დასკვნა:.....	12
გამოყენებული ლიტერატურა: .....	14

## საკითხის აქტუალობა

მოცემული კვლევა შეეხება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ტრანსფორმაციას ცივი ომის შემდგომ პერიოდში და ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციების როლს მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში. უფრო კონკრეტულად კი განვიხილავ, ნატოს სამშვიდობო მისიების სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას კონკრეტული ქვეყნების მაგალითებზე: ბოსნია-პერცოგოვინა, კოსოვო. კვლევის ფარგლებში შევცდები წარმოვადგინო კონკრეტული მაგალითების ანალიტიკური მიმოხილვა, რათა ამის საფუძველზე დადგინდეს სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციების გავლენა ალიანსის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პოლიტიკის ფორმირებაში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილო ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ახალი გამოწვევები, რისკები, გლობალური ტენდენციები, და შესაბამისად, გავიგოთ თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში რა როლი და პოლიტიკური პერსპექტივები აქვს ალიანსს.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ინსტიტუტია. ალიანსის წევრები ერთგულნი რჩებიან ისეთი ფასეულობების მიმართ, როგორებიცაა: ინდივიდუალური თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა. შესაბამისად, ნატოს ტრანსატლანტიკური კავშირი ამ ღირებულებებზეა დაფუძნებული. ნატოს შექმნის მიზანს კი წარმოადგენდა: საბჭოური ექსპანსიის შეკავება, ნაციონალისტური მილიტარიზმის აღორძინების აღკვეთა ევროპის კონტინენტზე, ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ჩვენ ვიცით, რომ მოვლენათა განვითარების შედეგად ასევე იცვლება საერთაშორისო პოლიტიკური რეალობაც. ნაშრომში განხილული იქნება - რა პროცესების შედეგად მოხდა ალიანსის ტრანსფორმაცია, რატომ დადგა ნატოს სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების აუცილებლობა, და ეს ყველაფერი შესაბამისად, როგორ აისახებოდა ნატო-ს პოლიტიკურ დღის წესრიგზე. (What Is NATO. <https://www.nato.int/nato-welcome/>)

ახალი გეოპოლიტიკური რეალობების ფაქტმა შექმნა იმის საფუძველი, რომ მომხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია. ცივი ომის დასრულების შემდეგ სამყარო დაუპირისპირდა ახალ კომპლექსურ რისკებს, მათ შორის: ეთნიკურ კონფლიქტებს, პოლიტიკური წყობის კრახს, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას. მოვლენებმა აიძულა ალიანსი ემოქმედა და მიეღო შესაბამისი სტრატეგიული გადაწყვეტილებები როგორც წევრ ქვეყნებს შორის, ასევე პარტნიორ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით. (The Alliance's New Strategic Concept. 1991. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_23847.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm)).

შესაბამისად, აუცილებელი იყო პარტნიორობის მექანიზმის გაძლიერება იმ მიმართულებით, რომ ნატოს-ს არაწევრ ქვეყნებს საშუალება ჰქონოდათ ეთანამშრომლათ ალიანსთან. ამ კუთხით ალიანსმა 1994 წელს შეიმუშავა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PFP - Partnership for Peace: Framework Document). ამ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა, ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს ან პარტნიორებს, გაეზიარებინათ ინფორმაცია ნატო-ს წევრებთან და განეახლებინათ თავიანთი შეიარაღება თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად. „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ასევე პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების გაუმჯობესება. შესაბამისად, მოხდა ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების განმტკიცება. (Partnership for Peace programme. 2020. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_50349.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50349.htm)).

ნატო როგორც სტრუქტურით, ასევე თავისი ამოცანების სტრატეგიული ხედვით ყოველთვის მოქნილად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს. ცვლილებები აისახება ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში, რომელიც ასახავს ალიანსის უსაფრთხოების გარემოს სტრატეგიულ ხედვასა და მის წინაშე მდგომ ამოცანებს. მაგალითად გამოდგება ნატოს სტრატეგიული დოკუმენტი - „NATO Strategy and Out-of-Area Operations“, სადაც ავტორი საუბრობს ნატოს ოპერაციებზე მის საზღვრებს გარეთ კოსოვოსა და ავღანეთში, ასევე ნატო-ს შიგნით არსებულ დაპირისპირებებზე. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სტრატეგიული კონცეფცია წარმოადგენს ევოლუციურ ცვლილებას, რომელიც შეესაბამება არსებულ რეალობას. (Strategic Concept. 2018. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_56626.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_56626.htm) ). გეოპოლიტიკური არასტაბილურობა

მოითხოვს კომპლექსურ საშუალებებს, რომლებიც აერთიანებს სამხედრო ძალას, დიპლომატიასა და კონფლიქტის შემდგომ სტაბილიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. შესაბამისად, კვლევის პროცესში ჩვენ გავიგებთ, თუ რა სტრატეგიასა და ტაქტიკას მიმართავს ნატო მშვიდობის დამყარების საკითხში. (Greime, P. Kriender, J. 2013. გვ. 243)

### **კვლევითი კითხვები:**

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე და ასევე ჩემს მიერ ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გაჩნდა რამდენიმე რელევანტური კითხვა:

1. რა როლი უკავია სამშვიდობო ოპერაციებს ალიანსის სამხედრო -პოლიტიკურ დღის წესრიგში და აღემატება თუ არა თავისი მნიშვნელობით კოლექტიური თავდაცვის პრინციპს;
2. რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ალიანსის მიერ განხორციელებული მისიები და რა იყო წარმატებისა თუ წარუმატებლობის მთავარი მიზეზები.

### **კვლევის მეთოდები:**

მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ადეკვატური კვლევის მეთოდები, რათა შევძლოთ საკვლევი თემა გავხადოთ ღირებული და კვლევის შედეგად მიღებული შედეგები სანდო. რადგანაც, კვლევის მიზანია, შევისწავლო ნატოს სამშვიდობო ოპერაციების მნიშვნელობა ალიანსისთვის და მათი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზები. ობიექტურად მთავარი მეთოდოლოგიური მიდგომა დაეყრდნობა ისტორიულ მიმოხილვას და თვისობრივი კვლევის ტექნიკებს, როგორცაა ალიანსის პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტების გარკვევა, მთავარი აქტორების პოზიციებისა და ინტერესების გაშუქება, ასევე სამხედრო და სამოქალაქო ოპერაციების მსვლელობის (სამხედრო, პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური ასპექტების) შეფასება და მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტაციის გაანალიზება. კორელაციურ კვლევის მეთოდში კი დავადგენ კოსოვოსა და ბოსნიაში განხორციელებული სამშვიდობო მისიების ურთიერთმიმართების ხარისხს. კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდება იმ წყაროებსა და დოკუმენტებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი რეზონანსი გამოიწვიეს. სხვადასხვა

წყაროების განხილვა დამეხმარება გავაკეთო ანალიზი ალიანსის სამშვიდობო მისიების როლის შესახებ. კვლევის მეთოდებიდან ასევე გამოვიყენებ შედარებით მეთოდს, რათა წარმოვაჩინო ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციების როლი მსოფლიოს უსაფრთხოებაში კონკრეტული ქვეყნების მაგალითების მიხედვით.

### **ჰიპოთეზა:**

საკვლევი კითხვისა და ანალიტიკური მიდგომის გათვალისწინებით ჰიპოთეზა შემდეგი ფორმულირებითაა წარმოდგენილი:

სამშვიდობო ოპერაციები წარმოადგენდა გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთზე კოლექტიური თავდაცვის ამოცანის რეალურ ალტერნატივას, და მათი წარმატებით განხორციელება ხშირად თავიდანვე რთულდება ალიანსის წევრებს შორის სტრატეგიულ მიზნებში შეუთანხმებლობის გამო.

### **ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციების როლი მშვიდობასა და უსაფრთხოებაში: ბოსნა-ჰერცეგოვინა**

როგორც უკვე აღვნიშნე, ცივი ომის დასრულებისთანავე, ალიანსი დადგა ახალი გამოწვევის წინაშე. პირველ რიგში, ეს დაკავშირებული იყო ალიანსის ტერიტორიების ფარგლებს გარეთ კონფლიქტების გადაწყვეტასთან, რაც ნამდვილად იყო ახალი რეალობა. 1992 წელს, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირი მზად იყო დახმარების აღმოჩენისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით, რადგან გაერო იღებდა მთავარ ვალდებულებას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ბოსნიის ომის დროს, კარგად წარმოჩინდა, რომ გაერო, რომელსაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ეკისრებოდა ძირითადი პასუხისმგებლობა შეეჩერებინა კონფლიქტი, ქმედუუნარო აღმოჩნდა მიეღო გადაწყვეტი ღონისძიებები მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ამიტომაც, ალიანსის წინაშე დადგა უნიშვნელოვანესი არჩევანი: ალიანსი ან იქნებოდა უმოქმედოდ, ან

მიიღებდა მკაცრ ზომებს, რათა გადაეჭრა კონფლიქტი და დაეცვა მშვიდობიანი მოსახლეობა. ალიანსი აქტიურად მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, რათა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაჭრილიყო. რადგან, სამშვიდობო მოლაპარაკებებმა შესაბამისი შედეგი ვერ გამოიღო, საჭირო გახდა ძალის დემონსტრირება მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, რისი შესაძლებლობაც ალიანსს ჰქონდა. (ჯენტელსონი, ბ. 2015, გვ. 615). აღსანიშნავია, რომ 1992-1995 წლების განმავლობაში ნატო-მ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რასაც მოჰყვა ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ქმედებები, დასავლეთ ევროპის კავშირთან ერთად. ამ ოპერაციების მიზანს წარმოადგენდა - კონტროლის დაწესება და გაეროს მიერ დაწესებული ემბარგოს დაცვა ადრიატიკის ზღვაში. ასევე სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციების, მიზანი იყო ბოსნიასა და ჰერცეგოვინაზე დაწესებული საჰაერო აკრძალვის რეჟიმის უზრუნველყოფა. (Greco, E, 2011, The Evolving Partnership Between the United Nations and NATO: Lessons From the Yugoslav Experience <https://www.nato.int/acad/fellow/95-97/greco.pdf>).

მნიშვნელოვანია, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გამოიყენა სამხედრო პოტენციალი ნატო-ს საზღვრებს გარეთ, ამით შექიმნა დადებითი პრეცედენტი, რომლითაც შესაძლებელი გახდა ალიანსს მომავალშიც ემოქმედა საჭიროებების შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რა პროცესებიც მიდიოდა ევროპაში, ალიანსის მხრიდან უმოქმედობა მნიშვნელოვნად შელახავდა ნატო-ს ავტორიტეტს, რადგან ნატო დაარსების დღიდანვე განიხილებოდა ევროპაში უშიშროების მთავარ გარანტად. ამიტომაც, ქვეყნები მოუწოდებდნენ ალიანსს გადამდგარიყო კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები ესკალაციის შეჩერების მიზნით. (ჯენტელსონი, ბ. 2015. გვ. 745)

იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკაში საომარი მოქმედებების შეჩერების შემდეგ, ალიანსს თავის ისტორიაში პირველად უნდა განეხორციელებინა სამშვიდობო მისია და დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხები: კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანა; გეგმის შემუშავება კონფლიქტის დეესკალაციისთვის. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სამშვიდობო ოპერაციების შესახებ განხილვა მიმდინარეობდა არა მხოლოდ

ნატო-ს წევრი ქვეყნების მონაწილეობით, არამედ პარტნიორ ქვეყნებთანაც. ამიტომაც უკვე 1995 წელს, ნატო-ში გამართული საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრაზე ალიანსის შესაბამისი სამხედრო სამსახურების მიერ წარმოდგენილ იქნა ე.წ. იმპლემენტაციის ძალების ანუ IFOR (NATO –Led Implementation Force) ის მოქმედების კონცეფცია. (NATO marks 20 year anniversary of IFOR Peacekeeping mission, 2015 [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_125737.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_125737.htm)). ეს დოკუმენტი განსაზღვრავდა კონფლიქტის ზონაში ე.წ. საერთაშორისო საიმპლემენტაციო ძალების ეტაპობრივ შეყვანას. ასევე ითვალისწინებდა იმ დროისთვის ბოსნიაში განლაგებული გაეროს სამშვიდობო ძალების შეცვლას ნატო-ს ძალებით. უნდა აღინიშნოს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ IFOR ის მანდატის განსაზღვრა, რომელიც უნდა დაქვემდებარებოდა ალიანსს. ე.წ. იმპლემენტაციის ძალების შემადგენლობაში არ იქნებოდნენ წარმოდგენილნი მხოლოდ ალიანსის წევრი სახელმწიფოები, მათ შორის იყვნენ უკრაინა, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. 1995 წელს ალიანსმა განაღვა სამშვიდობო ძალები ბოსნიაში ოპერაციის „ერთობლივი ძალისხმევის“ („Joint Endeavour“) მხარდასაჭერად. (Operation Joint Endeavor, 1995, [https://www.globalsecurity.org/military/ops/joint\\_endeavor.htm](https://www.globalsecurity.org/military/ops/joint_endeavor.htm)).

### **მთავარი აქტორების ინტერესების გაშუქება, მათი პოზიციები არსებული კონფლიქტის მიმართ**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მხარს უჭერდა გაეროს რეზოლუციებსა და დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, რათა 1992-1995 წლების განმავლობაში ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები შეეჩერებინა. ალიანსის რიგებში აშკარად იგრძნობოდა წევრი სახელმწიფოების პოზიციათა სხვადასხვაობა. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, აშშ-სა და ევროპელ მოკავშირეებს შორის უთანხმოებას აღნიშნული საკითხის გარშემო. ამიტომაც, პირველ რიგში ხაზგასასმელია, როგორ უყურებდა ვაშინგტონი ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე პროცესებს. ვაშინგტონი ბოსნიის კონფლიქტს განიხილავდა, როგორც ევროპის საქმედ, ამიტომაც აშშ-ის ადმინისტრაცია ნატო-ს ევროპელი მოკავშირეებისგან მოითხოვდა ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას. (ჯენტელსონი, ბ. 2015. გვ. 455)



ბოსნია-ჰერცეგოვინაში მშვიდობის დამყარებისთვის საჭირო იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მხრიდან თანხმობა. აქ საინტერესოა, რუსეთის პოზიცია და მისი სიმპათიები სერბების მიმართ, რაც ართულებდა გადაწყვეტილების მიღებას. მიუხედავად ამისა, რუსეთი დათანხმდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებას, განსხვავებით კოსოვოს კონფლიქტისგან. ნატო-ს უნდა მიეღო მანდატი, რათა განხორციელებინა შესაბამისი მოქმედებები. მაგრამ, შემდგომში რუსეთის ხელსუფლების აშკარა გაღიზიანება გამოიწვია, ალიანსის მიერ, ბოსნიელი სერბების პოზიციებზე პრევენციული დარტყმების განხორციელებამ. კრემლმა გამოიყენა ეს ფაქტი, რომ ალიანსი დაედანაშაულებინა გაეროს მანდატის პირობების დარღვევაში. რა თქმა უნდა, ბოსნიის კონფლიქტმა მოახდინა ურთერთობების დამაბზვა ნატო-სა და რუსეთს შორის. (Weitz, R. 2013. Russia, NATO and The Yugoslav Wars.).

საბოლოოდ, კლინტონის ადმინისტრაციამ გააცნობიერა, რომ საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, სადაც ლიდერობა ამერიკას უნდა ეკისრა. ამიტომაც, დაიწყო ინტენსიური საჰაერო თავდასხმების განხორციელება ბოსნიელი სერბების წინააღმდეგ. შესაბამისად, გადამწყვეტი ფართომასშტაბიანი შეტევის განსახორციელებლად, ხორვატიის არმიას სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს და ეკონომიკური სანქციები გამკაცრდა. გააქტიურდა დიპლომატიური მოლაპარაკებებიც, რის კულმინაციასაც წარმოადგენდა ოჰაიოს შტატში, დეიტონში გამართული სამშვიდობო კონფერანცია. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მიენიჭა სამშვიდობო მანდატი, ეუთოს დაეკისრა ძირითადი პასუხისმგებლობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისა და ასევე სხვა პოლიტიკური ზომების მისაღებად. (Clinton, B. Dayton Accords. 1995. <https://www.britannica.com/event/Dayton-Accords>).

### **ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) ოპერაციები კოსოვოში**

1998 წელს, კოსოვოში ვითარებამ მიაღწია უკიდურეს ნიშნულს, როდესაც სერბ პოლიციელებსა და „კოსოვოს განთავისუფლების არმიის“ მებრძოლებს შორის კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 1500 -მდე ადამიანი, 400 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი. ამ შემთხვევაში, ნატო და აშშ უფრო მყისიერად ჩაებნენ ომში, ვიდრე ეს მოხდა ბოსნიის მაგალითზე. თუმცა, მათი რეაქცია იმდენად სწრაფიც არ იყო, რომ მასობრივი მკვლევლობები და მოსახლეობის იძულებითი

გადაადგილებები თავიდან აეცილებინა. სერბების წინააღმდეგ საჰაერო თავდასხმის მუქარა მხოლოდ 1998 წლის ბოლოს გაისმა, როდესაც სერბული აგრესიის დაწყებიდან უკვე თვეები იყო გასული და პრევენციული ღონსძიებებისკენ არაერთი მოწოდებაც არსებობდა. (NATO's role in relation to the conflict in Kosovo. 2020. <https://www.nato.int/docu/comm/1999/9904-wsh/pres-eng/20kosov.pdf>).

### **ვის უნდა მიეღო გადაწყვეტილება კოსოვოში სამხედრო მოქმედების შესახებ?**

საინტერესოა, ვის უნდა მიეღო გადაწყვეტილება სამხედრო ინტერვენციის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობაში. მაგალითად: შეიძლებოდა თუ არა, რომ აშშ-ის ან სხვა დიდ სახელმწიფოებს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეშვეობით ან დამოუკიდებლად, გადაეწყვიტათ ეს საკითხი? თუ შესაძლებელი იყო ასეთი პრეროგატივა მინიჭებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს? საერთაშორისო სამართლის კუთხით, კოსოვოში ოპერაციის ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ალიანსი იძულებული გახდა სამხედრო კამპანია ეწარმოებინა გაეროს უშიშროების საბჭოს გარეშე. ეს ფაქტი გამოწვეული იყო რუსეთისა და ჩინეთის პოზიციების გამო, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ალიანსის მიერ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას. რა საფუძველი ჰქონდა, რუსეთისა და ჩინეთის ამ პოზიციას კოსოვოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით? რუსეთი და ჩინეთი კოსოვოში ინტერვენციას სერბეთის სუვერენიტეტისა და ასევე სხვა პრინციპების დაცვის საბაზით ეწინააღმდეგებოდნენ. მათი პოზიცია უფრო მეტად იმ შემთხვევებით იყო გამოწვეული, რომ შესაძლებელი იქნებოდა მსგავსი პრეცედენტების განმეორება: ჩეჩნეთის, ტაივანისა და ასევე ტიბეტის შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთისა და რუსეთის წინააღმდეგობამ, გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედებას ხელი შეუშალა, აშშ-მ და ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ინტერვენციის თაობაზე. (ჯენტელსონი, ბ. 2015. გვ. 648).

კოსოვოში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული იყო როგორც დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოება, ასევე პოლიტიკური წრეების ფართო სპექტრი. რა პოლიტიკა უნდა გაეტარებინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მილოშვიჩის ანტიდემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ აგრძელებდა კოსოვოელი ალბანელების რეპრესიებს, დევნას, შვეფროებას. ნათელი გახდა, რომ მილოშვიჩის მიერ

განხორციელებული ეთნიკური წმენდა ისტორიული გარდაუვალობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იყო შიდა პოლიტიკური ინტერესებით განპირობებული. (Kosovo Conflict. 2020. <https://www.britannica.com/event/Kosovo-conflict>)

არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვისმჯელოთ, რომ თუ ნატო დაიცავდა საერთაშორისო სამართლის არსებულ ნორმებს, იგი იძულებული იქნებოდა დათანხმებოდა იუგოსლავიის რეტროგრადული ხელისუფლების მიერ, იმავე სამართლის ნორმებისა და პრინციპების უხემ დარღვევას. პირველ რიგში: საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელყოფას.

არაერთგვაროვანი შედეგებით დასრულდა კოსოვოში მომხდარი პროცესები. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ნატო ომში ჩაება. ამ პრობლემის არსებობამ გავლენა მოახდინა ალიანსის ცვლილებებზე, დადებითი მიმართულებით. მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას, (ეს მოხდა გაეროს ავტორიტეტის დაცემის პარალელურად) და ასევე მისი ფუნქციებისა და მიზნების თანამედროვე რეალობასთან დაკავშირებას. ნატო-მ შეძლო პოლიტიკური კონსოლიდაციის მიღწევა კოსოვოში, კოორდინირებული და ეფექტიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარება. ეს არ მომხდარა პოლიტიკური დამაბულობების გარეშე. ალიანსის წევრ სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერესები ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა კოსოვოს დაცვის თაობაზე გარკვეული კონსენსუსი. ალიანსში გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო იყო ერთსულოვნება, ან მინიმუმ საწინააღმდეგო ხმის არარსებობა. კოსოვოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ოპერაცია მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად. ალიანსის გადაწყვეტილება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ, ნამდვილად წარმოადგენდა ახალ ეტაპს მის ისტორიაში. მისი ქმედება აისახა ალიანსის როგორც კონცეფციაში, ასევე საერთაშორისო სამართალშიც. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საერთაშორისო სამართალზე მაღლა ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპი დააყენა. (Why Kosovo's

Independence is Necessary. 2007. <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/balkans/kosovo/why-kosovos-independence-necessary>).

## დასკვნა:

ცივი ომის დასრულება არ გულისხმობდა ზოგადად ომის დასრულებას და ამას მოწმობს ეთნიკური კონფლიქტები და გენოციდის ფაქტები ბოსნიაში, დარფურში, რუანდაში. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა გააგრძელონ გზების ძიება, რათა იპოვონ ბალანსი ძალასა და დიპლომატიას შორის თანამედროვე ეპოქის საფრთხეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ალიანსმა შეძლო მოეხდინა ტრანსფორმაცია და დაამტკიცა თავისი ძლიერება იმ უნარში, რომ შეიცვალოს და მოერგოს თანამედროვე გამოწვევებს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დღემდე რჩება ძლევამოსილ სამხედრო ალიანსად. ალიანსის სამშვიდობო (სამხედრო) მისიებმა დაადასტურა, რომ მისი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში კიდევ უფრო მტკიცდება დროთა განმავლობაში. ნატო წარმატებით ახორციელებს მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებს, რაც განპირობებულია მისი პოლიტიკით. თანამედროვე მსოფლიოში, ახალი გამოწვევების ფონზე, ნატო არის უსაფრთხოების მთავარი გარანტი. ნატო არის მთავარი საყრდენი ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. ალიანსი წამყვანი ორგანიზაციაა კრიზისების მართვის სფეროში. შესაბამისად, ალიანსის მიზანს წარმოადგენს დაიცვას თავისი წევრების მშვიდობა და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური ისე, სამხედრო საშუალებების გამოყენებით. იმის გათვალისწინებით, რომ უმნიშვნელოვანესია მსოფლიოში სტაბილურობის მიღწევა, ალიანსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას: გაერო, ეუთო, ევროკავშირი. უმთავრეს მიზანს XXI საუკუნეში წარმოადგენს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. თანამედროვე სამყაროში მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, ნატო-ს როლი გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში უფრო

და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ალიანსის ჩართულობა საერთაშორისო მისიებსა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესში არსებითად გაიზარდა. გასათვალისწინებელია ალიანსის მიზნების ახლებური გააზრება, ახალ რეალობასთან ადაპტირება და პარტნიორობის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის შექმნიდან განვლილ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა, ნატო რჩება სტაბილურობის მთავარ წყაროდ არაპროგნოზირებად გეოპოლიტიკურ გარემოში. (Kriender J. Greime P. (2013). „Understanding NATO in the 21 century”, Routhledge).

გამოყენებული ლიტერატურა:

Annan, K. Statement. (1999).

<https://www.nato.int/docu/speech/1999/s990128a.htm>.

Bosnia's Incomplete Transition: Between Dayton and Europe. (2009).

<https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/balkans/bosnia-and-herzegovina/bosnia-s-incomplete-transition-between-dayton-and-europe>.

Greco, E. (2011). *The Evolving Partnership Between the United Nations and NATO: Lessons From the Yugoslav Experience*.

<https://www.nato.int/acad/fellow/95-97/greco.pdf>.

*Independent International Commission on Kosovo: The Kosovo Report*. (2006).

<https://www.law.umich.edu/facultyhome/drwcasebook/Documents/Documents/The%20Kosovo%20Report%20and%20Update.pdf>.

*Kosovo Conflict*. (2020).

<https://www.britannica.com/event/Kosovo-conflict>.

Kriender J. Greime P. (2013). „*Understanding NATO in the 21 century*”, Routhledge.

*NATO's role in relation to the conflict in Kosovo*. (2020).

<https://www.nato.int/docu/comm/1999/9904-wsh/pres-eng/20kosov.pdf>.

NATO's Role in Bosnia and Herzegovina. (2004). <https://www.nato.int/docu/comm/1999/9904-wsh/pres-eng/06bosn.pdf>.

*NATO's role in relation to the conflict in Kosovo*. (1999). <https://www.nato.int/kosovo/history.htm>.

*NATO's role in Kosovo*. (2020).

[https://www.nato.int/cps/en/natolive/topics\\_48818.htm](https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_48818.htm).

*Partnership for Peace Programme.* (2020). [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_50349.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50349.htm).

Raji, A. (2019). *The Partnership for Peace: A Quiet NATO Success Story.*

<https://warontherocks.com/2019/04/the-partnership-for-peace-a-quiet-nato-success-story/>.

*Russia and NATO Toward the 21<sup>st</sup> Century: Conflicts and Peacekeeping in Bosnia-Herzegovina and Kosovo.* (2001).

<https://www.nato.int/acad/fellow/99-01/cross.pdf>

*Why Kosovo's Independence is Necessary.* (2007).

<https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/balkans/kosovo/why-kosovos-independence-necessary>.